

“**ე ა მ ტ კ ი ც ე ბ**”
ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო
დაწესებულებების გაერთიანების
მართველი: **გ.ბერუაშვილი**

“**შეთანხმებულია**”
საქართველოს ძიუდოს ფედერაციის
პრეზიდენტი: **ლ. ნოზაძე**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ჟორა მარჯანიძის
სახელობის ტურნირი ძიუდოში 2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის

შეჯიბრების ჩატარების მიზანი და ამოცანები

- 1. ძიუდოს პოპულარიზაცია ქარელის მუნიციპალიტეტში
- 2. ნიჭიერი-პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლინება

შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი

შეჯიბრება ჩატარდება 2024 წლის 21-22 დეკემბერს ქარელის სასპორტო სკოლის
ძიუდოს დარბაზში, (ქ. ქარელი ყაზბეგის ქ №92) ძიუდოს საერთაშორისო მოქმედი
წესების დაცვით . აწონვა შეჯიბრის დღეს :

- 21 დეკემბერი - 50 კგ, 55 კგ, 60 კგ, 66 კგ
- 22 დეკემბერი - 73 კგ, 81 კგ, 90 კგ, +90 კგ (დაშვება 1 კგ)

მიღების პირობები

შეჯიბრებაზე მონაწილე სპორტსმენები პირადობის მოწმობის გარეშე არ
დაიშვებიან.

შეჯიბრების ჩატარების ხელმძღვანელობა

შეჯიბრების ჩატარებას ხელმძღვანელობს ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება. შეჯიბრებას მოემსახურება საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციიდან მოწვეული მსაჯები, რომლებიც მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას. შეჯიბრზე მოხდება ვიდეო გადაღება რომელიც ანაზღაურდება გაერთიანების მიერ.

შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს გაიღებს ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

დაჯილდოება

წონით კატეგორიებში გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდებიან ფულადი ჯილდოთი. გადაეცემათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები, თასები და მედლები.

50კგ, 55კგ, 60კგ, 66კგ, 73კგ, 81კგ წონით კატეგორიებში დაჯილდოვდებიან გამარჯვებული მოჭიდავეები :

I ადგილი -500 ლარი ,

II ადგილი -400 ლარი ,

III ადგილი -300 ლარი.

90 კგ და მძიმე წონით კატეგორიაში დაჯილდოვდებიან გამარჯვებული მოჭიდავეები :

I ადგილი -800 ლარი ,

II ადგილი -500 ლარი ,

III ადგილი -350 ლარი

შეჯიბრების სპონსორია ,საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი ,ბიზნესმენი ,სპორტის დიდი მეცენატი და მოყვარული , ვეტერანი ძიუდოსტი ქარელის მუნიციპალიტეტის მკვიდრი ბატონი სლაგა შერაზადიშვილი .

შენიშვნა:

1. წინამდებარე დებულება ითვლება ოფიციალურ გამოცხადებად შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველი გუნდებისათვის

საკონტაქტო ტელეფონი: 577 21-73-83 ,577 21-73-37